სამუშაოლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

ზუგდიდი

1992
ხუთშაბათი
20
აგვისტო
№ 25 (10556)
ფასი 1 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ განვიკითხავთ ოპონენტს

ამჟამად ჩვენს გარშემო შექმნილ სოციალურ-ფსიქოლოგიურ გარემოს იმდენი შინაგანი, იდუმალი ნაღმი გააჩნია, რომ შეუძლებელია წინასწარ იმის ამოცნობა, თუ რომელი მხრიდან მიიღებ უსიამოვნებას. მოვლენების განვითარების პროგნოზირებაც ჭირს, რამეთუ საგანთა ლოგიკას მეტწილად ენაცვლება სრულიად მოულოდნელი, ძნელად ასახსნელი ამორფული სიტუაციები და განწყობილებები.

ერთერთი ავბედითი სიმპტომი რომელიც თავის ნებაზე ჭიმავს საერთო განწყობილების ზამბარას, გახლავთ განსხვავებული აზრისადმი ყოველი ჩვენგანის დამოკიდებულების კულტურა. ჩვენ ისეთ რეჟიმში მოგვიწია ათეულ წლობით ცხოვრებამ, როცა ყველას გუნდრუკი უნდა გვეკმარა მონოიდეოლოგიური დოგმისთვის. და ამის გამო მოხდა ფაქტიურად გაუცხოება ჭეშმარიტ ღირებულებებთან, თავისუფალ სოციალურ, თუ პოლიტიკურ ორიენტირებთან. სწორედ ამან დაშტამპა ჩვენი ცნობიერება და გამომდინარე აქედან, დაბლა დასცა პოლიტიკური თვითშეგნების დონე.

დღეს ყველა ამჩნევს და გულის ძირამდე განიცდის მწარე რეალობას: სხვისი აზრის, შეხედულების პოზიციის მოსმენა გვიჭირს. გაჩნდა ეგრეთწოდებული მოუთმენლობის სინდრომი. საკმარისია, ოპონენტი ჩვენი სააზროვნო მოდელიდან ოდნავ გადაიხაროს, რომ ლამის მტრად, ავისმოსურნედ ჩავთვალოთ. ეს კი უხერხული, ძნელად ამოსაცნობი და მკურნალობას დაუქვემდებარებელი საშიშსენია, რომლითაც სამწუხაროდ ინდუცირებულია საზოგადოების დიდი ნაწილი.

ჩვენო ძმაო და დაო, საყვარელო თანამემამულენო! პოლიტიკურ შეხედულებათა გამო ნუ გადავზრდით ჩვეულებრივ კამათს, პაექრობას მოუთოკავ ვნებათა ღელვაში, მტრობასა და სიძულვილში. მივეჩვიოთ ურთიერთობა ცივილიზებულ ნორმებს, თორემ ამ ისედაც გაჯახირებულ ყოფას კიდევ უფრო მოვიშხამავთ.

გვახსოვდეს: ჩვენს უკან დგას წინაპართა სიდარბაისლე და პეწი, ზრდილობა და ღირსების აურწყავი კოდექსი.

სახელმწიფო საბჭოს მიმართვა: რეზონანსი

უარი—ყოველგვარ ექსტრემიზმს

გონიერი კაცი დღეს შეუძლებელია არ ხვდებოდეს, რომ რაც უბედურება თავს დაგვატყდა, მეტწილად ჟამთა სიავის ბრალია. უსასტიკესმა რეჟიმმა დაგვიმახინჯა ფსიქიკა, შეგვიცვალა ცხოვრების წესი, დაგვავიწყა მამაპაპური ღირსებების კოდექსი. ავიღოთ თუნდაც აფხაზეთის საკითხი. ვინ გაამწვავა იგი, ვინ შეიყვანა ჩიხში ქართველ-აფხაზთა ურთიერთობა? ამ მშვენიერი კუთხის ბეცმა პოლიტიკოსებმა. ეს ჟათ გააღვივეს სეპარატისტული განწყობილებები, გააჩაღეს გამომწვეევი ქმედებანი. უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს, ტერორისტულ აქციებს აბა რა სიკეთე უნდა მოეტანა?

ახლა, სანამ კიდევ არ არის გვიან, ყველამ ღრმად უნდა გაიცნობიეროს შექმნილი ვითარების სირთულე და წინ აღუდგნენ ძალადობას, დიდერსიას, ყაჩაღობას.

ნგრევით, ძარცვით საქართველოს სხეულს საბოლოოდ დავაზიანებთ, დღევანდელობასაც დავღუპავთ და მომავალსაც.

უარი ყოველგვარ ექსტრემიზმს, მოეუხმობთ მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და სხვა მშვიდობიან ფორმებს.

ჯ. თელია.

ქილიკის დრო აღარაა

მისაღებია, როცა შერიგებისაკენაა მოწოდება. მაგრამ ამას საქმე უნდა მოყვეს და არა ცინიზმი, ბოღმა. ამ მხრივ ტელევიზია და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ გამოირჩევიან. ვის აქვს უფლება მოქალაქეს გაუქილიკოს პოზიცია, მრწამსი. ჩვენ უნდა დავძლიოთ ექსტრემიზმი, ურთიერთობის რკვევა ძალით, იარაღის ენით და არა ჯანსაღი პლურალიზმი.

საქართველოს გადაარჩენს არა ოპონენტის აზრის ჩაქოლვის, მისი მოშთობის გზა, არამედ ერთმანეთის მოთმენის, დანდობის და დიალოგის მეშვეობით ჭეშმარიტების ძიების გზა.

ლ. ხუგულავა.

დრო და უზენაესი გაარჩევს

საქართველოში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას ძალიან სერიოზული გააზრება სჭირდება. ძნელია არ დაეთანხმო სახელმწიფო საბჭოს მიმართვაში გადმოცემულ აზრს: „ეჭვი არაა, რომ ერთობლივი ძალისხმევით ბოროტებას მალე მოეღება ბოლო, ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანაში დამყარდება მშვიდობა და წესრიგი, შეიქმნება ნორმალური პირობები დემოკრატიული პროცესების გასარღმავებლად“.

ერთმანეთთან ძალისმიერი დაპირისპირებით ამ გაჩანაგებული სულის და ეკონომიკის გამოჯანმრთელებას ვეღარ შევძლებთ. ცხოვრება თავისას ითხოვს, შვილებისა და შვილიშვილების უსაფრთხოება ბევრს გვავალებს.

რაც შეეხება ჩვენს ურვას და ტკივილებს, მას დრო მოარჩენს თანდათან. დრო და უზენაესი გამოიტანს მსჯავრს. ოღონდ ერთმანეთთან ურთიერთობის ცივილიზებულ საშუალებებს ზურგი არ უნდა ვაქციოთ.

ჩვენი ხსნა ჩვენსავე ხელშია, თანამემამულენო!

ი. არქანია

განათლების თანამედროული პრობლემები და სინამდვილე

ბოლო ათწლეულებში განათლების სისტემისადმი არასაკმაო ყურადღებამ დააქვეითა პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. შემცირდა მოწოდებით მასწავლებელთა რიცხვი, შენელდა ნიჭიერი ახალგაზრდობის ლტოლვა პედაგოგის პროფესიისადმი. სასწავლო პროცესი დაქვეითდა. თვალსაჩინო გახდა კურსდამთავრებული ახალგაზრდობის პროფესიული შეუსაბამობა ახლებური ცხოვრების მოთხოვნასთან.

ამჟამად, ისე როგორც არასდროს, დღის წესრიგში დადგა ოფიციალური განათლების მიახლოვება რეალურ ცხოვრებასთან. ამ თვალსაზრისით გაზეთ „განათლების“ 10 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა სამინისტროს მიერ განსახილველად წარმოდგენილი „განათლების კონფეფციის“ პროექტი, რომელიც პრინციპულად და კრიტიკულად განიხილა საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების 21 ივლისის პლენუმმა. პლენუმზე აღინიშნა, რომ „განათლების კონცეფციის“ პროექტი ვერ პასუხობს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული განათლების სისტემის შექმნისა და მისი პრიორიტეტული განვითარების მოთხოვნებს. პროექტის გამოქვეყნების დრო და ვადები არ იძლევა მასზე საქმიანი მსჯელობის შესაძლებლობას. პლენუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია კონცეფციის ალტერნატიული ვარიანტების პრესაში გამოქვეყნება და რეკომენდაცია მიეცა პროფესორ ოთარ ჭინქლაძის ხელმძღვანელობით შექმნილი კონცეფციის პროექტს, რომელიც განსახილველად გამოქვეყნდა გაზეთ „განათლების“ 31 ივლისის ნომერში. „საქართველოს რესპუბლიკის განათლების კონცეფციის“ ეს პროექტი ძირითადად შეესაბამება ქვეყნის დემოკრატიზაციის, განათლების სისტემის ჰუმანიზაციისა და პროფესიონალიზაციის ეროვნულ მოთხოვნებს, გამოკვეთილად ჩანს რესპუბლიკის განათლების სისტემის სტრუქტურა, განათლების სისტემის პერსპექტივები პრივატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის ვითარებაში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ კონცეფციაში არაფერია ნათქვამი პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის პერსპექტიულ გაუმჯობესებაზე, ნიჭიერი ახალგაზრდობის პედაგოგიურ პროფესიულ ორიენტაციაზე, პედაგოგების სოციალურ დაცვასა და მატერიალურ უზრუნველყოფაზე, განათლების ადგილობრივი ორგანოების თვითმმართველობაში დემოკრატიზაციის განვითარებაზე. მეტ ჰუმანურობასა და სრულყოფას მოითხოვს მასწავლებელთა ატესტაციის საკითხი.

პედსაზოგადოების პლენუმმა გადაწყვიტა, რომ ალტერნატიული კონცეფციების განხილვა ყველა ტიპის სასწავლებლების პედაგოგიურ-სამეცნიერო საბჭოებსა და მასწავლებელთა აგვისტოს თაობრებზე უნდა განხორციელდეს. ზუგდიდის პედსაზოგადოების საბჭო რეგიონის პედაგოგებისაგან ელის საქმიან, პრაქტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს.

ზუგდიდი იყო, არის და კვლავაც დარჩება სამეურნეო ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრად სამეგრელოს რეგიონისა. უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ, რომ ზუგდიდში 40-იან წლებში ფუნქციონირებდა უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი. რომელიც ავადმოსაგონარ „მეგრელთა საქმეს“ შეეწირა. რაოდენ სასიხარულო და საამაყოა რომ მიმდინარე წლიდან ჩვენს ქალაქში ფუნქციონირებს მრავალდარგოვანი უნივერსიტეტი. გვჯერა რომ მისი პროფესორ-მასწავლებლები თავიანთ ხმას მიაწვდიან რეგიონის პედსაზოგადოებას, რამდენადაც კონცეფციაში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა უმაღლეს სკოლას, როგორც უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის მომდევნო საფეხურს.

განათლების სამინისტრომ 1992-93 სასწავლო წლისათვის დაამტკიცა სასწავლო გეგმები, რომლის მიხედვითაც სწავლა იწყება პირველ სექტემბერს და მთავრდება 25 მაისს. წინა წლებისაგან განსხვავებით, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ 1-4 კლასების სასწავლო გეგმაში დამატებით შეტანილია საათები, რომელიც უნდა მოხმარდეს აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან არასაგაკვეთილო პერიოდში ინდივიდუალურ და ჯგუფურ მეცადინეობებს, ასევე

(დასასრული მე-2 გვერდზე)

პ უ რ ი ს ბ უ მ ი შ ე გ ნ ე ბ ი თ გ ა ვ ა ნ ე ი ტ რ ა ლ ო ფ

უნდა შეგნებით მივუდგეთ

ეს, როგორ კომენტარს უკეთებს 17 აგვისტოს ინციდენტს ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ი. მესხი.

—სამწუხაროდ, ეს დღე არ არის გამონაკლისი. მოსახლეობის მხრიდან შემოტევას და თვითნებობის ფაქტებს ხშირად აქვს ადგილი. ამჟამადაც ასე მოხდა. ჩვენი წარმომადგენლების არც მოთხოვნამ გასჭრა და არც თხოვნამ. გვიანი ღამის საათებში შეიჭრნენ საამქროში, სადაც მოხდა საცხობის დარბევა. პურისა და ცომის დატაცება.

მოსახლეობამ ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგოს, რომ ასეთი აგრესიულობით შიშველი ინსტიქტების დონეზე პურის დეფიციტს კი არ შევარბილებთ, პირიქით, კიდევ უფრო გავამწვავებთ. გვენდონ, დაგვიჯერონ ორგანოს წარმომადგენლებს და მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ წესრიგს, მოგვცენ საშუალება სპეციალური მანქანებით გაზიდულ იქნას პური ობიექტებამდე. მადლობა ღმერთს, ქალაქის ხელმძღვანელობის ძალისხმევით ფქვილის რესურსები ჯერჯერობით გაგვაჩნია. და თუ კი მას დროზე მივიტანთ სოფლის საცხობებზე, ვითარება საგრძნობლად განიმუხტება.

პროფილაქტიკური სამსახურის ვახტი აქ კიდევ უფრო განმტკიცდება, დაიხვეწება მისი ზეგავლენის მექანიზმი. მაგრამ კიდევ ვიმეორებ: მოსახლეობის მხრიდან თუ არ გვექნა მხარდაჭერა, სიტუაციის სწორად გააზრება, ამაოა შედეგებზე ფიქრი.

მხოლოდ სიის მიხედვით

პურკომბინატი რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტია და ამ ურთულესი კატაკლიზმების დროს განსაკუთრებული დაცვა სჭირდება—ეს ყველამ ვიცით. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის ცოდნა ხშირად ვერ პოულობს რეალურ სასიკეთო გამოხატულებას და მავნთა მიერ პურსაცხობების დარბევამ ლამის ქრონიკული ხასიათი მიიღო...

—დარბევა და ხელისშეშლა კი არა თითოეული მოქალაქე იმის ცდაში უნდა იყოს, რომ პური შეუფერხებლად ჩამოდიოდეს კონვეიერიდან,— თქვა ჩვენთან საუბარში ქალაქ ზუგდიდის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ თამაზ ბიჟიამ, რომელმაც შემდეგ აღნიშნა: საკმაო ხანია ქალაქის მაღაზიებში ყოველდღიურად საშუალოდ 6-7 ათასი ცალი პური შემოდის. ეს რაოდენობა პურისა, რა თქმა უნდა არ არის საკმარისი. ქუჩის კომიტეტების მიერ შედგენილ სიაში, რომელიც ჩვენ ქალაქის პურკომბინატს წარვუდგინეთ, 65 ათასი ადამიანია დაფიქსირებული. ამ სფეროში პრობლემა არ მოიხსნება მანამ, სანამ სავაჭრო ობიექტებში სიის მიხედვით არ შემოიტანენ პურს, სანამ მისი გაყიდვა პურ საცხობებში საბოლოოდ არ აღიკვეთება. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი მაღაზიები მხოლოდ რეალიზატორები არიან და არანაირად არ შეგვიძლია რაიმე სასიკეთო ზეგავლენა მოვახდინოთ პურის დეფიციტის აღმოფხვრაში.

ჯ. ჯაბადარი.

მომჭირნეობა სწორედ ახლაა საჭირო

რიგითი მყიდველის განწყობილებას მოგახსენებთ: თითქმის ყოველდღე მიხდება პურის შესაძენად სიარული. რა ვქნა, უბნის მაღაზიაში იგი არ მოაქვთ და მეც სხვებთან ერთად ქალაქის პურკომბინატისკენ მივეშურები. ენით ძნელია იმ სურათის გადმოცემა, რაც იქ გვხვდება. პურის მოლოდინით გულგაწვრილებული ადამიანების შეწუხებული სახეები, დაღლილი, უძინარი თვალები გარემოს აუტანელს ხდის. პურის გამოჩენა ჯიხურში და ეს დიდძალი მასა, იმის შიშით, ვაი თუ არ შემხვდესო, იწყებს ტორტმანს. ვერა და ვერ გავითავისეთ რიგის დაცვის კულტურა, სულსწრაფობა და მოუთმენლობა ზეიმობს ასეთ დროს, საკმარისია სულ მცირეოდენი მიზეზი და გაღიზიანებული მასა იჭრება საწარმოს ეზოში. მილიციის მუშაკების მცდელობაც ხშირად ამაო ხდება.

მანქანებს პურის გამოტანის საშუალებას რომ მივცემდეთ, ასეთ დავიდარაბას ავიცდენდით თავიდან. სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება, უსიამოვნო ექსცესებს ვეღარ ავიცდენთ.

და კიდევ ამას ვიტყოდი: ზოგი მოქალაქე უტიფრად იქცევა. მოიმიზეზებს, მეზობელმა, ნათესავმა მთხოვაო და ყიდულობს 10-15 ცალ პურს.

ნუ ვიზამთ ამას, ხალხნო! თუ ასე ტომრებით გავზიდეთ და პირუტყვს შევაჭამეთ პური, განსაცდელს მოვიახლოვებთ.

ვ. ჯალაღონია.

ამგვარი უსერმოება გვეკადრება?

მკითხველმა ალბათ იცის, თუ რა უმძიმეს პირობებში გვიხდება მუშაობა. კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალ-ღონეს არავინ იზოგავს, რათა უპუროდ არ დატოვოს მოსახლეობა. მაგრამ მოქალაქეთა გარკვეული კონტინგენტი ყოვლად მოუთმენელ, ძნელად მოსაგერიებელ აგრესიულობას იჩენს. ამ დალოცვილებმა ნუთუ ვერ შეიგნეს, რომ კარ-ფანჯრების, საცხობი ღუმელების, ნაკადური ხაზის დალეწვა-განადგურებით ჩვენს ხვალინდელ არსებობას ვაყენებთ კითხვის ნიშნის ქვეშ.

ეთხელ კიდევ მივმართავ ჩემს თანამემამულეებს: ამ ექსტრემალურ სიტუაციაში გამოიჩინონ სიფხიზლე და მოთმინება, ურთერთპატივისცემა და გატანა. ნუ ავაშვებინებთ თავს ემოციებს, შევიკავოთ თავი უხეშობისაგან. მივცეთ საშუალება მძღოლებს სავაჭრო ქსელში გაიტანონ პური.

თუ ეს მხარდაჭერა და გაგება იქნება, მდგომარეობის დარეგულირების ყველა ბერკეტი ამოქმედდება და შექმნილ კრიზისულ პერიოდს შედარებით იოლად გადავიტანთ.

ლ. ბეჟვაია,
ქალაქის პურკომბინატის დირექტორი.

ფქვილი არ არის?!

ღვთის მკაცრი განაჩენით ზუგდიდელებს ტყვია უკვე აღარ გვაშინებს, მაგრამ მოარული, არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქალაქისა და რაიონის პურკომბინატებში ფქვილის მარაგი ამოიწურა, უსაზღვროდ გვაშფოთებს. თანაც გულახდილად გითხრათ, პირადად ნაკლებად მჯერა. ასე მგონია, ეს ვიღაცეების მიერ სიტუაციის ხელოვნურად კიდევ უფრო დაძაბვის მორიგი ცდაა. აბა რას უნდა ნიშნავდეს: ვამბობთ: ფქვილი არ არის, პური ვერ გამოცხვება და ამ დროს, ქალაქის ქუჩებში თუ სოფლებში, მავანნი, აბსოლუტურად თავისუფლად, რამდენსაც მოისურვებთ იმდენს, თანაც საუკეთესო ხარისხის ფქვილს ზედმეტ ფასებში ყიდიან.

საიდან? როგორ?

ნუთუ ეს შეუმჩნეველი რჩებათ ქალაქის მესვეურებს?

ეგების ეს ფქვილი სულ სხვა გზით შემოდის ჩვენს ქალაქში და არავითარი კავშირი არა აქვთ პურკომბინატებთან:

ნ. მიქავა.

მეოცე საუკუნის განდეგილი

რუსეთში ბუდიზმის არსებობის 250 წლისთავის ზეიმზე მოწვეულ იქნა ნობელის პრემიის ლაურეატი დალაი-ლამა.

მას დღეს მთელი მსოფლიო ანგარიშს უწევს, იზიარებს მის აზრებს, შეხედულებებს. იგი დაიბადა სოფელ ტაკცერში გლეხის ოჯახში. ხოლო ღვთის მსახურებაში მისი კარიერა იწყება ტიბეტში, ლამაის ეკლესიაში.

ტიბეტელების რწმენით დალაი ლამა არ კვდება, არამედ სიკვდილის წინ გარდაისახება ბავშვად. დალაი-ლამა მე-14 თანამშრომლობდა ჩინეთის ხელისუფლებასთან. ერთ დროს არჩეულიც გახლდათ სრულიად ჩინეთის კრების თავმჯდომარის მოადგილედ. მაგრამ 1959 წელს, ტიბეტის შეიარაღებული აჯანყების დროს, იძულებული შეიქნა ემიგრაციაში წასულიყო ინდოეთში. სწორედ ამ დროს განახორციელა მან მეტად სახიფათო გადასვლა ჰიმალაიზე.

დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა გამოჩნდეს, დალაი-ლამა ყოველთვის ქადაგებს ახიმსის (ძალადობის საწინააღმდეგო) მოძღვრებას.

რა სურვილები და მიზნები ამოძრავებს ამ რანგის მოღვაწეს? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ყველა ქვეყნის პოლიტიკოსები ერთმანეთს ხვდებოდნენ ბუნების წიაღში. მისი განზრახვაა ტიბეტი იქცეს ახიმსის ზონად.

დალაი-ლამა 33 ქვეყანაშია ნამყოფი. მაგრამ იგი დღემდე მაინც განდეგილად რჩება. ცხოვრობს მონასტერში, რომელიც დელიდან 550 კილომეტრით არის დაშორებული. დგება დილით ადრე, 4 საათზე და ლოცულობს ყოველი ჩვენგანისათვის ფიქვებსა და ნაძვებს შორის.

დალაი-ლამა სისტემატურად უსმენს „ბი-ბი-სის", „ამერიკის ხმას", მოსკოვის რადიოს ინგლისურ ენაზე, კითხულობს სოლიდურ ეკონომიკურ უურნალებს. მის რეზიდენციაში მოთავსებულია მეცნიერების უმსხვილესი ცენტრი, აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით.

თავისი ნობელის პრემია დალაი-ლამამ უძღვნა 1989 წელს რუმინეთში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა დახმარების ფონდს. აგრეთვე მოწყალების ორდენს.

„მე არ გახლავართ პოლიტიკოსი, მე ბერი ვარ", —ამბობს დალაი-ლამა. მას ღრმად სწამს, რომ თანამედროვე პოლიტიკაში მოდიან ახალი ტიპის პიროვნებები, რომელნიც მოიტანენ ამ სფეროში ზნეობასაც.

„სოგესედნიკი"— №32.

განათლების თანადროული პროგლემები და სინამდვილე

(დასასრული)

დამატებით მეცადინეობებს იმ მოსწავლეებთან, რომლებიც საგნის ღრმად შესწავლით არიან დაინტერესებული, ამავე მიზნით ფაკულტეტური საათები ეთმობა მე-7, მე-11 კლასების მოსწავლეებს მათი სურვილისა და მისწრაფებების გათვალისწინებით.

ახალი სასწავლო წლისათვის მასწავლებლის საქმიანობის სტიმულირების საუკეთესო საშუალება-იქნება „წლის საუკეთესო მასწავლებლის" სტატუსის დაწესება და კონკურსის გამოცხადება. კონკურსი სამ ტურად ჩატარდება - სკოლაში, განათლების განყოფილებასა და სამინისტროში. ამჟერად კონკურსში ჩაებმებიან დაწყებითი კლასების მასწავლებლები. კონკურსში გამარჯვებულს პედსაზოგადოება გადასცემს ფულად ჯილდოს 3000 მანეთის ოდენობით.

კვლავ გრძელდება დიდი იაკობის საიუბილეო დღეები. რომელსაც საქართველოს პედსაზოგადოების პლენუმმა მიუძღვნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „იაკობ გოგებაშვილი და ქართული ეროვნული განათლების თანამედროვე პრობლემები", რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდება. საუკეთესო ნაშრომების ავტორები დაჯილდოვდებიან გოგებაშვილის საიუბილეო მედლებით და ფასიანი საჩუქრებით.

მასწავლებელი მოთმინებით, ტაქტიანად უნდა ეუბნებოდეს აღსაზრდელის გულს გასაღებს, შთაგონებდეს მას სამართლიანობას, ობიექტურობას, პატიოსნებას, კეთილ სინდისიერებას, ქვეყნისა და ერის სიყვარულს, მისი ხვალინდელი დღისათვის ზრუნვას, რაც ესაჭიროენ საჭიროა ამჟამად, მრავალეროვანანახი საქართველოს მშვიდობისათვის.

დავით აბსავა,
საქართველოს პედსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს წევრი, ზუგდიდის პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 9-23-07 ტირაჟი 1200 შეკ. №315

სარედაქციო კოლეგია